ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 393

“ 19 ” აგვისტო 2025 წ.

ქ. თბილისი

სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების 4^1 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს აკაკი ჩხენკელის სახელი და სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„სსიპ - აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლა“.**

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე